

ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას
საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
ირაკლი კორძაძია – კოლეგიის წევრი
დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: რ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.03.2011

საჩივრის რეგისტრაციის №029/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური
პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით
გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

ი ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

- 1.1 2011 წლის 17 მარტს მოქალაქე რ. თ. მომართა ეთიკის კომისიას ადვოკატ თ. მ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.
- 1.2 საჩივრის ავტორმა 2011 წლის 2 ივნისს დამატებით მომართა ეთიკის კომისიას ახსნა-განმარტებით, სადაც გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს დეტალურად ეხება.
- 1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2007 წლის მარტში ადვოკატ თ. მ. სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა რ. თ. ახლობელმა. ადვოკატს უნდა განეხორციელებინა ბრალდებული რ. თ. დაცვა.
- 1.4 საჩივრის მიხედვით, ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისათვის 1000 (ათასი) ლარი წინასწარ გადაუხადა საჩივრის ავტორის კომპანიონმა.
- 1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თ. მ. 2007 წლის 15 მარტს მოინახულა იგი ქ. ბათუმის საპყრობილეში, სადაც განუცხადა, რომ მარტო არ ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, იყვნენ სამი ადვოკატი და ანაზღაურების სახით მოითხოვა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი, რომელიც ბოლომდე უნდა გადაეხადათ. საჩივრის ავტორის განმარტებით, საბოლოოდ შეთანხმდნენ თანხის ეტაპობრივად გადახდაზე იმ პირობით, რომ ადვოკატს უნდა დაეწყო მისი დაცვა.
- 1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა ნათესავმა თ. მ. შეთანხმების თანახმად გადასცა 1000 (ათასი) აშშ დოლარი.
- 1.7 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ამის შემდეგ თ. მ. მხოლოდ ერთ, 2011 წლის 22 აპრილს გამართულ სასამართლო პროცესში მიიღო მონაწილეობა და დარჩენილი თანხის გადახდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კოლეგები უარს ამბობდნენ საადვოკატო მომსახურების გაწევაზე.
- 1.8 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისი თხოვნისა თ. მ. გაეგრძელებინა მისი ინტერესების დაცვა და დარჩენილ თანხას ნაწილ-ნაწილ გადაუხდიდა, 2011 წლის 22 აპრილის შემდეგ თ. მ. აღარ უნახავს.
- 1.9 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა თ. მ. მას არ გაუწია საადვოკატო მომსახურება, არ აწარმოა საქმე პროკურატურაში საპროცესო შეთანხმების თაობაზე და არც მოლაპარაკებას ცდილობდა ბრალდების მხარესთან. მას მხოლოდ თანხა აინტერესებდა.
- 1.10 საჩივრის ავტორის მითითებით, 2011 წლის 22 აპრილის სასამართლო პროცესის შემდეგ თ. მ. აღარ უნახავს. ვინაიდან იგი აღარ გამოჩნდა, პირველი ინსტანციის სასამართლოში მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ა. ბ., ხოლო სააპელაციო ინსტანციაში შ. პ.
- 1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ტელეფონით უკავშირდებოდა ადვოკატს მდგომარეობის გარკვევის მიზნით, მაგრამ მისგან ფუჭ დაპირებებს იღებდა.
- 1.12 საჩივრის თანახმად, რ. თ. მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურების თანხის უკან დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია

- 2.1 საჩივართან დაკავშირებით 2011 წლის 25 მარტს ადვოკატმა თ. მ. ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება.
- 2.2 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, მას რ. თ. დაცვის მიზნით, რომელიც დაპატიმრებული იყო სსსკ-ის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, მიმართა მისმა ახლობელმა.
- 2.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი მუშაობდა პარტნიორთან ერთად. მხარეთა შორის მოხდა სიტყვიერი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ, ხოლო შემდეგ დაიდო წერილობითი ხელშეკრულება, სადაც მომსახურების საფასურად განისაზღვრა 3 000 (სამი ათასი) აშშ დოლარი.
- 2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის საქმე რ. თ. მიმართ სერიოზული ბრალდებით მიმდინარეობდა. კერძოდ, რ. თ., განსაკუთრებით დიდი ოდენების თანხა – 70 000 აშშ დოლარი, ჰქონდა აღებული თურქეთის მოქალაქისაგან. საქმეში არსებული მასალებით გავარკვით დაცვის მხარემ, რომ უტყუარად დასტურდებოდა რ. თ. მიერ ჩადენილი დანაშაული“.
- 2.5 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, იგი შეუდგა რ. თ. საქმის შესწავლასა და სასამართლო პროცესისათვის მომზადებას. ამ მიზნით სამჯერ თუ ოთხჯერ ჩავიდა ქ.ბათუმში, აკითხავდა პროკურატურასა და სასამართლოს, გადაიღო საქმის მასალები, ბრალდების მხარესთან დაიწყო მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმების შესახებ.
- 2.6 ადვოკატი აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ შესძლო პროკურატურასთან შეთანხმების მიღწევა, ასევე რამდენჯერმე შეხვდა დაზარალებულის ადვოკატს. ადვოკატის განცხადებით, დაზარალებული მხარე დასთანხმდა რ. თ. პირობითი მსჯავრით გათავისუფლებაზე იმ პირობით, რომ ბრალდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ იპოთეკით უნდა დაეტვირთა უძრავი ქონება, რაც საშუალებას მისცემდა რ. თ. ეტაპობრივად გადაეხადა თანხა.
- 2.7 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, შეთანხმების პირობები მისაღები აღმოჩნდა რ. თ. მისი ოჯახის წევრები შეხვდნენ და თანხმობა განუცხადეს ადვოკატს მის შესრულებაზე, თუმცა საბოლოოდ ვერ შესძლეს შეთანხმების პირობის დაცვა.
- 2.8 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: „მე პირადად დავრწმუნდი მასში, რომ რ. თ. არის უარყოფითი პიროვნება, მას წინასწარ განზრახ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული მრავალჯერ, რასაც ახორციელებდა სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით“.
- 2.9 ადვოკატის მითითებით, საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული თანხა ორმა ადვოკატმა გამოიყენა საქმის შესწავლის, ბრალდების მხარესთან მოლაპარაკებისა

და სასამართლო განხილვისათვის. რ. თ. ოჯახმა არ შეასრულა შეთანხმება, რაზეც მას პრეტენზია არ გამოუთქვამს, პირიქით, რ. თ. მისივე თხოვნით ქ.თბილისის #5 ქალთა დაწესებულებაშიც მიაკითხა.

- 2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ რ. თ. საჩივარი არის უსაფუძვლო, ვინაიდან თავად ბრალდებულის ოჯახის მიერ მოხდა შეთანხმების პირობების დარღვევა.
- 2.11 ადვოკატი 2011 წლის 06 ივლისს გამოცხადდა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, დაადასტურა 2011 წლის 25 მარტის ახსნა-განმარტებაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება.
- 2.12 ადვოკატი განმარტავს, რომ რ. თ. ურთიერთობა შეწყდა ბრალდებულის მხრიდან. მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, როგორც ადვოკატის მომსახურების თანხასთან დაკავშირებით, ასევე ბრალდების მხარესთან მიღწეული შეთანხმება გიროს გადახდის თაობაზე. ამის შემდეგ, ადვოკატმა ჩათვალა, რომ ვეღარ დაიცავდა მის ინტერესებს.
- 2.13 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: „დაცვის ქვეშ მყოფი რ. თ., რომელსაც 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი ჰქონდა თაღლითურად თურქეთის მოქალაქისგან მითვისებული, საქმე მქონდა კლასიკურ თაღლითან და მისივე ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მიიმალნენ სასამართლო მსვლელობის დროს. მე ნამდვილად ვეღარ გავაგრძელებდი რ. თ. დაცვას“.
- 2.14 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, მას აღარ შეხვდნენ რ. თ. ოჯახის წევრები, ხოლო სატელეფონო საუბრებით საბოლოოდ უარი განუცხადეს სადვოკატო მომსახურებასა და პროკურატურის მიერ შემოთავაზებული პირობის შესრულებაზე, უძრავი ქონების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენების თაობაზე.
- 2.15 ადვოკატი აღნიშნავს, რომ რ. თ. ოჯახის წევრმა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას შეატყობინა, რომ მათ სხვა ადვოკატი ჰყავდათ აყვანილი.
- 2.16 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, რ. თ. საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის თაობაზე არ ჰქონია საუბარი. მასთან მხოლოდ გიროს თაობაზე აწარმოებდა მოლაპარაკებას. რ. თ. ადვოკატს თანხმობა განუცხადა უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე.
- 2.17 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, რამდენიმე თვის შემდეგ რ. თ. მისივე თხოვნით მიაკითხა ქ.თბილისის №5 ქალთა საპყრობილეში, მიუტანა სიგარეტი და მობილურზე ჩაურიცხა თანხა, თუმცა მას საპყრობილიდან გათავისუფლებას არ დაჰპირებია.
- 2.18 ადვოკატი განმარტავს, რომ მან რ. თ. აუხსნა, თუ იქნებოდა ამნისტიის შესაძლებლობა ან ახლად გამოვლენილი გარემოება, მასთან მივიდოდა და გაუწევდა სამართლებრივ დახმარებას.

- 2.19 ადვოკატმა თ. მ. 2011 წლის 08 ივლისს ეთიკის კომისიას დამატებით წარმოუდგინა ახსნა-განმარტება, სადაც აზუსტებს 2011 წლის 06 ივლისს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.
- 2.20 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც ბრალდების მხარესთან, ასევე დაზარალებულის მხარესთან.
- 2.21 ადვოკატის ახსნა-განმარტებით, მან პირადად მიაღწია დაზარალებულთან და მის ადვოკატთან შეთანხმებას, რომ ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ გააჩნდა საჭირო თანხა, თანხის სანაცვლოდ დაზარალებულის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთებოდა უძრავი ქონება.
- 2.22 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამ შეთანხმებით კმაყოფილი დარჩა როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფი, ასევე მისი ოჯახის წევრები. თუმცა მათ არ დატვირთეს იპოთეკით უძრავი ქონება და საპროცესო შეთანხმების გაფორმებაც ვერ მოხერხდა.
- 2.23 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, რ. თ. და მისმა ახლობლებმა არ მისცეს საშუალება საქმე დაემთავრებინა, მათივე თხოვნით შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სასურველი შედეგი დამდგარიყო.

II ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

- 3.1 ადვოკატი თ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.
- 3.2 რ. თ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 17 მარტს.
- 3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2007 წლის აპრილში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 #2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2007 წელი) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით, ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ

ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. სამართლებრივი შეფასება

- 4.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2007 წ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.
- 4.2 აღნიშნული საჩივრის მიხედვით 2007 წლის მარტში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სავარაუდო დარღვევა ადვოკატმა განახორციელა 2007 წლის აპრილში, როდესაც კლიენტის ინფორმირების გარეშე დაცვის განხორციელება შეწყვიტა. ადვოკატის მიერ ჩადენილი სავარაუდო დარღვევა არ ატარებს განგრძობად ხასიათს, ვინაიდან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა 2007 წლის აპრილში.
- 4.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2007 წელს მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.
- 4.4 მოცემულ შემთხვევაში კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, რადგან ის აუარესებს პირის (ადვოკატის) მდგომარეობას.
- 4.5 „ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დისციპლინური კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის შემოტანის თარიღამდე გასული იყო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.
- 4.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ თ. მ. მიერ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული

ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და არა ადვოკატის მხრიდან განხორციელებული პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის დადგენაზე. შესაბამისად ეთიკის კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატის მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო დარღვევებზე.

- 4.7 ეთიკის კომისია მიიჩნევს, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ თ. მ. რ. თ. დაცვის განხორციელება შეწყვიტა კლიენტის ოჯახის ინიციატივით ან საკუთარი ინიციატივით ისე, რომ ინფორმაცია მიაწოდა მხოლოდ ოჯახს უშუალოდ კლიენტის ინფორმირების გარეშე, შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგი მუხლი:
- ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.
- 4.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად „ექვმიტანილს, ბრალდებულს, მათს ნათესავებს, სხვა პირებს შეუძლიათ ადვოკატთან დადონ შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ“. მოცემულ შემთხვევაში თ. მ. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს რ. თ. ოჯახის ახლობელი.
- 4.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. ადვოკატთან კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულები უშუალოდ წარმოემგება იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.
- 4.10 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული

უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.

- 4.11 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ თ. მ. მიმართ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდებოდა ოჯახისა თუ თავად ადვოკატის ინიციატივით და ინფორმაციას ფლობდა მხოლოდ ოჯახი, ადვოკატს ევალუბოდა ორივე შემთხვევაში შეხვედროდა კლიენტს და პირადად რ. თ. შეეთანხმებინა ეს გადაწყვეტილება.
- 4.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ ახსნა-განმარტებაში კლიენტის მიმართ ჩამოყალიბებული შეფასებები, რაც ეფუძნება პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციას, შეიძლება ჩაითვალოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ის მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტში ჩამოყალიბებული კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად:
- ა) „1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია.
2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია კლიენტის თანხმობით ან გამონაკლის შემთხვევაში, თუკი ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია ადვოკატის მიერ, მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად ან კანონით უშუალოდ გათვალსიწინებულ შემთხვევებში“.
- 4.13 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის კლიენტთან ურთიერთობა ემყარება ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. ეთიკის კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ კონფიდენციალურობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული. ამასთან, ადვოკატი ამ პრინციპით შეზღუდულია, როგორც საქმიანობის განხორციელებისას და კონკრეტული კლიენტის დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.
- 4.14 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ თ. მ. ახსნა-განმარტებაში კლიენტის მიმართ გაკეთებულია ისეთი შეფასებები, როგორცაა *„მე პირადად დავრწმუნდი მასში, რომ რ. თ. არის უარყოფითი პიროვნება, მას წინასწარ განზრახ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული მრავალგზის, რასაც ახორციელებდა სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით“* (ადვოკატის ახსნა-განმარტება, აბზაცი 2.8); *„დაცვის ქვეშ მყოფი რ. თ., რომელსაც 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი ჰქონდა თაღლითურად თურქეთის მოქალაქისგან მითვისებული, საქმე მქონდა კლასიკურ თაღლითან და მისივე ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მიიმალნენ სასამართლო მსვლელობის დროს. მე ნამდვილად ველარ გავაგრძელებდი რ. თ. დაცვას“*. (ადვოკატის ახსნა-განმარტება, აბზაცი 2.13)
- 4.15 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ თ. მ. მიერ საკუთარი კლიენტის რ. თ. მიმართ ასეთი შეფასებებით არღვევს

კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ამასთან ამ განცხადებების გაკეთება არ არის განპირობებული ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში წაყენებული ბრალდებიდან თავის დაცვის აუცილებლობით. კლიენტის „კლასკურ თაღლითად“ მოხსენიება, ასევე მასთან დაკავშირებული პირებისთვის დანაშაულში ბრალის დადება, არ არის კავშირში ადვოკატის მიერ დაცვის განხორციელების შეწყვეტის თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თავის მართლებასთან.

- 4.16 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. მ. ქმედებაში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დარღვევას. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მის მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი, რომ არა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ხანდაზმულობის ვადის გასვლა, რაც „ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას.

III ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაწყვიტა

1. რ. თ. 2011 წლის 17 მარტის, №029/11 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე

ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძაია

კოლეგიის წევრი

დავით კაკაბაძე